ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N03/07

პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება - 260201
ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT230002880

ქ. თბილისი 6 მარტი 2023 წელი

ერთი მხრივ, **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი - **იულია ტყეშელაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „სტატიო"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის - **თეიმურაზ დუდაურის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 33-ე მუხლის და ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე **(NAT230002880)** ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჭიროებისათვის **ქაღალდის ხელსახოცების შესყიდვა (CPV 33764000 - ქაღალდის ხელსახოცები).**

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია ქაღალდის ხელსახოცები.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **17`300.00 (ჩვიდმეტი ათას სამასი ლარი და 00 თეთრი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადის ჩათვლით.

3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის და საერთო ფასები, ასევე ტექნიკური აღწერილობა განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართში N1-ში (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი, უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დანართი N1-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **15 (თხუთმეტი) სამუშაო** დღის განმავლობაში **(არაუგვიანეს 2023 წლის 28 მარტი)**.

4.3. წუნდებული შესყიდვის ობიექტის გამოცვლის ვადა შემსყიდველის მოთხოვნიდან **5 (ხუთი) სამუშაო** დღის განმავლობაში.

4.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების (მიმწოდებელი უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას და გადატვირთვას) ადგილია: **ქ. თბილისი, ჟორესის ქ. N10.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ შემსყიდველის მხრიდან სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს საწყობის მენეჯერი ან /და მის მიერ უფლებამოსილი პირი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირი.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურდება შესყიდვის ობიექტის ფაქტიური მიწოდება, ხოლო შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადასტურება მოხდება ინსპექტირების აქტით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში ფაქტობრივად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის მიხედვით.

6.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს ხელშეკრულების 5.1 ქვეპუნქტში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტი, ინსპექტირების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში).

6.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 6.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დააკავოს მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

6.6. მიმწოდებელმა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის 6.3. ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტაცია თუ არ წარუდგინა შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამთავრების მეორე დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, მიმწოდებელი 3 (სამი) თვის გასვლის შემდეგ კარგავს მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე თანხის მოთხოვნის უფლებას შემსყიდველისათვის დოკუმენტაციის წარუდგენლობის გამო.

6.7. დაფინანსების წყარო: **2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი მიღება.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

შესყიდვის ობიექტის მიღება/ჩაბარების დროს ჩაატაროს შემოწმება/კონტროლი (ლაბორატორიული კვლევა ან უფლებამოსილი სპეციალისტის/ექსპერტის დასკვნა) მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის და რაოდენობის ხელშეკრულებასთან და დანართი N1-თან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული რაოდენობისა და ხარისხის შესყიდვის ობიექტი;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით, დანართი N1-ით გათვალისწინებული ყველა პირობა;

გ) შემსყიდველს მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;

დ) შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულების 6.3. ქვეპუნქტში მითითებული ყველა დოკუმენტი;

ე)ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (არაჯეროვან შესრულებაში არ ჩაითვლება საგარანტიო პირობებით გათვალისწინებული შემთხვევები), მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული რაოდენობის შესყიდვის ობიექტის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4. ინსპექტირებისას აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის გამოსწორებისათვის ან/და შეცვლისათვის მიმწოდებელმა თუ გადააცილა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების საერთო ვადას მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.

8.5. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და ძალაშია **2023 წლის 31 აგვისტოს** ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.3. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.5. წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო თუ წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ და ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება მეორე მხარის მიერ ცვლილებაზე ხელმოწერის შემდგომ.

10.6. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც

დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.4. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება შესყიდვის ობიექტის მიწოდების პერიოდში ან შემდგომ.

12.2. ინსპექტირებისას ხილვადი დეფექტის, ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში ინსპექტირების განმხორციელებელმა უნდა შეადგინოს ინსპექტირების აქტი და წარუდგინოს შემსყიდველს შემდგომი რეაგირებისათვის.

12.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, ხილვადი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და სატელეფონო შეტყობინებით აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს ნაკლის, დეფექტის გამოსწორება ან შეცვლა.

12.4. ინსპექტირების აქტის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ჩატარდება მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ექსპერტიზა.

12.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

12.6. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **დავით სხულუხია.**

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, თუ:

ა)მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების შესრულება;

გ) მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის ხელშკრულების მოქმედების პერიოდში დაჯარიმებულ იქნა სამჯერ;

დ) შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას;

ე) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე;

ვ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შედგენილ უნდა იყოს მხარეთა მიერ ელექტრონული ფორმით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური მის: ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის ქ.N27 საიდენტიფიკაციო კოდი: 205360223 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი /იულია ტყეშელაშვილი/	**შპს „სტატიო“** მის: ქ. თბილისი, იან ჰომერის ქ. N5ა საიდენტიფიკაციო კოდი: 400005533 საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE55TB7394736020100001 ელ-ფოსტა: tdudauri@yahoo.com ტელ:+995 77 77 54 45 Teimuraz Dudauri Digitally signed by Teimuraz Dudauri DN: cn=Teimuraz Dudauri, serialNumber=PNOGE-01019010315, givenName=Teimuraz, sn=Dudauri, o=Citizen, c=GE Date: 2023.03.06 16:28:06 +04'00' დირექტორი /თეიმურაზ დუდაური/

ფასების ცხრილი

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი ან/და ბრენდი	რაოდენობა	განზომილება	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ქაღალდის ხელსახოცი	დისპენსერის ქაღალდის ხელსახოცი 2 ფენიანი (ცალობრივი, შეკვრაში 200 ცალი ფურცელი). თეთრი ფერის, Z დაკეცვის ტიპის, წყალში ადვილად ხსნადი. დისპენსერის ზომებიდან გამომდინარე, ხელსახოცის ზომები: სიგანე გაშლილ მდგომარეობაში: 21 სმ, სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში: 22 სმ	საქართველო	შპს სტატიო	10000	შეკვრა	1.73	17300.00
სულ:								**17,300.00**